

## შპს „ნექსარა“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კაკლის ბაღის მორწყვის მიზნით სამელიორაციო  
სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია

არატექნიკური რეზიუმე

## ეკოპლანირი

მომზადებულია: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო  
და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი



ქ.თბილისი, 2023 წელი

## სარჩევი

1.	შესავალი .....	2
2.	დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება .....	4
3.	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა.....	5
4.	არსებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის აღწერა .....	11
4.1	სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა.....	17
4.2	პროექტის უტაპზე დაგეგმილი სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების აღწერა .....	17
5.	ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ანალოგიური ობიექტის მდებარეობის შესახებ .....	22
6.	დასაქმება და სამუშაო გრაფიკი .....	24
7.	საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები .....	24
8.	ობიექტის სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება.....	24
9.	სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხები.....	24
10.	დანართები .....	25
10.1	დანართი 1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან .....	25
10.2	დანართი 2 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან .	31
10.3	დანართი 3 - გენ. გეგმა .....	33

## 1. შესავალი

შპს „ნექსარას“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 55.12.69.000.179; 55.12.69.000.180), რომელიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული შპს „ნექსარა ქონებისგან“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405307127). თავის მხრივ შპს „ნექსარა ქონება“-ს მესაკუთრე არის შპს „ნექსარა“ და ორივე კომპანიას ყავს ერთი და იგივე ხელმძღვანელი. ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე შპს ნექსარას დაახლოებით 73 ჰა ფართობის ტერიტორიაზე, გააჩნია კაკლის ბაღი, რომელიც უზრუნველყოფილია წვეთოვანი სარწყავი სისტემით. სარწყავი სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით, კომპანიის მიერ იჯარით აღებულ ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.12.69.000.038), მოწყობილია წყლის სამარაგო რეზერვუარი (მოცულობა 4 000 მ<sup>3</sup>), რომელიც მარაგდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხით.

კაკლის ბაღი და სარწყავი სისტემა (სამარაგო რეზერვუარით) კომპანიამ მოაწყო 2017 წელს. იმ დროისთვის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ საჭიროებდა რაიმე პროცედურის გავლას და გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებას. ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე შპს ენერგო პრო ჯორჯიას მიერ, მათთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად მიყვანილია 10 კვ სიმძლავრის მქონე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი, რომელსაც მომსახურებას უწევს შპს ენერგო პრო ჯორჯიას საგარეჯოს რეგიონული ფილიალი. აღნიშნული ხაზის მიყვანა ასევე არ საჭიროებდა გარემოსდაცვითი პროცედურის გავლას და გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებას.

ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს, კაკლის ბაღები გააშენოს დამატებით 20 ჰა ფართობის ტერიტორიაზე. ამასთან, როგორც აღინიშნა, არსებული კაკლის ბაღები ირწყვება შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხით, რომელიც სექტემბერი-აპრილის თვეებში წყვეტს აქტივობას ან ხასიათდება ძალიან შეზღუდული აქტივობით. აღსანიშნავია, რომ კაკალი განსაკუთრებით მომთხოვნია წყლის მიმართ, ნერგის სრულყოფილი განვითარების მიზნით მის მორწყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არსებული სარწყავი სისტემა და სამარაგო რეზერვუარი ვერ უზრუნველყოფენ კაკლის ბაღების სათანადოდ მორწყვას. შესაბამისად, კომპანიას დაგეგმილი ჰქონდა საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წვეთოვანი სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია და მდინარიდან ამოღებული წყლის დასაგროვებლად ზემოაღნიშნულ ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 55.12.69.000.179) დამატებით ორი სამარაგო რეზერვუარის მოწყობა, თითოეული რეზერვუარის მიახლოებითი პარამეტრები: რეზერვუარის ზედაპირის სიგრძე - 161, რეზერვუარის ძირის სიგრძე - 129 მ, რეზერვუარის ზედაპირის სიგანე - 71 მ, რეზერვუარის ძირის სიგანე - 39 მ, მაქსიმალური სიღრმე 6.5 მ, თითოეულის მოცულობა - 50 329.38 მ<sup>3</sup>, ჯამური მოცულობით - 100 659 (100 658.76) მ<sup>3</sup>. შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში

წარმოდგენილი იყო ზემოაღნიშნული ორი რეზერვუარის მოწყობის შესახებ ინფორმაცია. თუმცა კომპანიამ ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გაანალიზების შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება ორი ერთეული, თითოეული 50 329.38 მ<sup>3</sup> მოცულობიანი, რეზერვუარის ნაცვლად ტერიტორიაზე მოაწყოს ერთი 99 531 (99 531.18) მ<sup>3</sup>- იანი რეზერვუარი. ამჟამად აღნიშნული რეზერვუარის მოწყობა უკვე მიმდინარეობს, ჯამურად სამუშაოების განხორციელებისთვის კომპანიას გათვალისწინებული აქვს 4 თვე.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ აღნიშნული რეზერვუარის მოწყობა დაიწყო სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნის მიღების შემდეგ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული რეზერვუარის მოწყობის ეტაპზე ობიექტზე განხორციელდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ვიზიტი, რა დროსაც შედგენილი იქნა შესაბამისი სამართალდარღვევის აქტი (დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს).

რეზერვუარს სიღრმეში ექნება ტრაპეციის ფორმა, ხოლო მისი სარკის ზედაპირს ექნება მომრგვალებული მართკუთხედის ფორმა. რეზერვუარის მიახლოებითი პარამეტრები შემდეგია: რეზერვუარის ზედაპირის სიგრძე - 311, რეზერვუარის ძირის სიგრძე - 284 მ, რეზერვუარის ზედაპირის სიგანე - 71 მ, რეზერვუარის ძირის სიგანე - 44 მ, მაქსიმალური სიღრმე 5.5 მ (6.5 მ), მოცულობა - 99 531.18 მ<sup>3</sup>.

არსებული კაკლის ბაღი გაშენებულია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. გამოყენებულია ჩანდლერის ჯიშის კაკლის ნერგები, სულ დაახლოებით 20 144 ნერგი. ამ ეტაპზე იგეგმება დამატებით დაახლოებით 5000-5400 ნერგის დარგვა. აღნიშნული ნერგები სრულ მსხმოიარობას მიაღწევს 5 წელიწადში, მსხმოიარობაში შესვლის დროს ბაღის წარმადობა იქნება დაახლოებით 350 ტონა. კაკლის რეალიზაცია განხორციელდება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

როგორც აღინიშნა, კაკლის ბაღისთვის უმნიშვნელოვანესია მორწყვის ეფექტური სისტემის გამოყენება. სწორედ ამიტომ, კომპანია გეგმავს პროექტის ფარგლებში წვეთოვანი სამელიორაციო სისტემის რეკონსტრუქციას, რომლის წყლით მომარაგება განხორციელდება, კომპანიის საკუთრებაში ერთი უკვე არსებული და დაგეგმილი რეზერვუარით, რომელთა საერთო ჯამური მოცულობა იქნება დაახლოებით 103 531 მ<sup>3</sup>. თავის მხრივ რეზერვუარები წყლით მომარაგდება როგორც ქვემო სამგორის სამელიორაციო არხიდან, ასევე მდინარე იორიდან, საჭიროებისამებრ.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-II დანართის, პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, სკრინინგის ანგარიშის მომზადებას ექვემდებარება სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია. ამავე კოდექსის პირველი დანართის 21-ე პუნქტის შესაბამისად, გზმ-ის პროცედურას ექვემდებარება „კაშლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია,

რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტთან დაკავშირებით საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად მომზადებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომლის საფუძველზეც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 3 ივლისის N311/ს ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა N14.

პროექტთან დაკავშირებით საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლისა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ იქნა წინამდებარე გზშ-ის ანგარიში.

ცნობები საქმიანობის განმახორციელებლის და იმ საკონსულტაციო კომპანიის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა წინამდებარე გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში მოცემულია ცხრილში N1.1.

#### ცხრილი N1.1 – ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ნექსარა“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ჯავახიშვილის ქ., № 25
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	402040956
კომპანიის დირექტორი	დარიო ჯეიმს მუნდჭენკე
საქმიანობის სახე	სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ქ. საგარეჯოს მიმდებარე ტერიტორია
საკონსულტაციო კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“
საიდენტიფიკაციო ნომერი	405390973
იურიდიული და ფაქტიური მისამართი	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. N16
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	ვებ: გვერდი: <a href="http://www.ecometer.org.ge">www.ecometer.org.ge</a> E-mail: <a href="mailto:info@ecometer.org.ge">info@ecometer.org.ge</a> ტელ: 577 38 01 13

## 2. დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება

შპს „ნექსარას“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე, რომელიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული (საკადასტრო კოდები: 55.12.69.000.179; 55.12.69.000.180), დაახლოებით 73 ჰა ფართობის ტერიტორიაზე, გააჩნია კაკლის ბაღი, რომელიც უზრუნველყოფილია წვეთოვანი სარწყავი სისტემით. სარწყავი სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით, კომპანიის მიერ იჯარით აღებულ ერთ-

ერთ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.12.69.000.038), მოწყობილია წყლის სამარაგო რეზერვუარი (მოცულობა 4 000 მ<sup>3</sup>), რომელიც მარაგდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხით.

კაკლის ბაღი გაშენებულია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. გამოყენებულია ჩანდლერის ჯიშის კაკლის ნერგები, სულ დაახლოებით 20 144 ნერგი. ამ ეტაპზე იგეგმება დამატებით დაახლოებით 5000-5400 ნერგის დარგვა. აღნიშნული ნერგები სრულ მსხმოიარობას მიაღწევს 5 წელიწადში, მსხმოიარობაში შესვლის დროს ბაღის წარმადობა იქნება დაახლოებით 350 ტონა. კაკლის რეალიზაცია განხორციელდება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს, კაკლის ბაღები გააშენოს დამატებით 20 ჰა ფართობის ტერიტორიაზე. ამასთან, როგორც აღინიშნა, არსებული კაკლის ბაღები ირწყვება შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხით, რომელიც სექტემბერი-აპრილის თვეებში წყვეტს აქტივობას ან ხასიათდება ძალიან შეზღუდული აქტივობით. აღსანიშნავია, რომ კაკალი განსაკუთრებით მომთხოვნია წყლის მიმართ, ნერგის სრულყოფილი განვითარების მიზნით მის მორწყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არსებული სარწყავი სისტემა და სამარაგო რეზერვუარი ვერ უზრუნველყოფენ კაკლის ბაღების სათანადოდ მორწყვას. შესაბამისად, კომპანიას დაუდგა საჭიროება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წვეთოვანი სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციის და მდინარიდან ამოღებული წყლის დასაგროვებლად ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე (55.12.69.000.179) დამატებით სამარაგო რეზერვუარის მოწყობის. შესაბამისად, კომპანიის მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდგომ ბაღების მორწყვა განხორციელდება კომპანიის საკუთრებაში ერთი უკვე არსებული და ერთი დაგეგმილი რეზერვუარით, რომელთა საერთო ჯამური მოცულობა იქნება დაახლოებით 103 531 მ<sup>3</sup>. თავის მხრივ რეზერვუარები წყლით მომარაგდება როგორც ქვემო სამგორის სამელიორაციო არხიდან, ასევე მდინარე იორიდან, საჭიროებისამებრ.

### 3. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

შპს „ნექსარას“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოს მიმდებარე ტერიტორიაზე იჯარით აქვს აღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები, საკადასტრო კოდებით: 55.12.69.000.179; 55.12.69.000.180; 55.12.69.000.038. აღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან კომპანიას კაკლის ბაღი გაშენებული აქვს 2 მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.12.69.000.179, 55.12.69.000.180). მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 85 ჰა, საიდანაც ბაღი მოწყობილია დაახლოებით 73 ჰა ფართობის ტერიტორიაზე.

ასევე, როგორც უკვე აღინიშნა კომპანიას მის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, ს/კ: 55.12.69.000.038 (ფართობი 252 329 მ<sup>2</sup>) გააჩნია წყლის

სამარაგო რეზერვუარი, რომლის საერთო ტევადობა შეადგენს დაახლოებით 4 000 მ<sup>3</sup>-ს. არსებული რეზერვუარის მიახლოებითი GPS კოორდინატები შემდეგია:

**ცხრილი N 3.1 - არსებული რეზერვუარის GPS კოორდინატები**

	X	Y
1	536737.00	4605371.00
2	536757.00	4605356.00
3	536740.00	4605335.00
4	536720.00	4605350.00

როგორც უკვე აღინიშნა, ამ ეტაპზე კაკლის ბაღები ირწყვება ზემოაღნიშნული რეზერვუარიდან, რომლის შევსებაც ხდებდა მხოლოდ შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხით, რომელიც სექტემბერი-აპრილის თვეებში, წყლის სიმცირის და ხშირ შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების გამო ვერ უზრუნველყოფს ბაღისთვის წყლის მოწოდებას. ამასთან კომპანია გეგმავს ს/კ: 55.12.69.000.038 მიწის ნაკვეთზე დამატებით 20 ჰა ფართობის კაკლის ბაღის გაშენებას.

აღსანიშნავია, რომ კაკალი განსაკუთრებით მომთხოვნია წყლის მიმართ, ნერგის სრულყოფილი განვითარების მიზნით, მის მორწყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, შესაბამისად არსებული სარწყავი სისტემა და რეზერვუარი ვერ უზრუნველყოფენ არსებული და დაგეგმილი ბაღების მორწყვას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია გეგმავს, არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციას და იმ პერიოდში როდესაც არხიდან წყლის მოწოდება შეზღუდული ან/და შეწყვეტილი იქნება ბაღების მოსარწყავად დამატებით წყალატებას მდინარე იორიდან. მდინარიდან ამოღებული წყლის დასაგროვებლად დაგეგმილია ერთ-ერთი მიწის თავისუფალ ნაწილზე (ს/კ: 55.12.69.000.179), რეზერვუარის მოწყობა, რეზერვუარს სიღრმეში ექნება ტრაპეციის ფორმა, ხოლო სარკის ზედაპირი - მომრგვალებული მართკუთხედის ფორმის. თითოეული რეზერვუარის მიახლოებითი პარამეტრები შემდეგია: სიგრძე რეზერვუარის ზედაპირზე - 311 მ, სიგრძე რეზერვუარის ძირში - 184 მ, სიგანე რეზერვუარის ზედაპირზე - 71 მ, სიგანე რეზერვუარის ძირში - 44 მ, მაქსიმალური სიღრმე 5.5 (6.5) მ, მოცულობა - 99 531.18 მ<sup>3</sup>. ორივე რეზერვუარის ირგვლივ მოეწყობა უკუყრილი, უკუყრილის ფართობი იქნება დაახლოებით 8273 მ<sup>2</sup>. რეზერვუარის და უკუყრილის ფართობი ერთად იქნება დაახლოებით 30 354 მ<sup>2</sup>.

**ცხრილი N3.2 - დაგეგმილი რეზერვუარის GPS კოორდინატები**

	X	Y
1	536521	4605906
2	536760	4605771
3	536767	4605749
4	536750	4605719

5	536727	4605712
6	536650	4605756
7	536487	4605847
8	536481	4605869
9	536498	4605900
10	536521	4605906

**ცხრილი N3.3 - უკუყრილის განთავსების GPS კოორდინატები**

	X	Y
1	536555.5378	4605909.165
2	536617.6365	4605874.307
3	536675.9009	4605840.754
4	536730.9678	4605806.962
5	536777.3893	4605777.725
6	536783.77	4605761.82
7	536779.6504	4605743.518
8	536755.1747	4605710.037
9	536735.67	4605701.59
10	536715.5849	4605710.451
11	536650.2297	4605748.931
12	536601.49	4605775.50
13	536572.9604	4605792.073
14	536519.4011	4605818.444
15	536482.1563	4605838.498
16	536469.18	4605858.84
17	536472.295	4605880.714
18	536482.85	4605906.31
19	536498.85	4605924.30
20	536517.2577	4605928.871

კაკლის ბაღის და რეზერვუარების განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფელი პალდო, დაშორებულია დაახლოებით 3.5 - 4 კმ-ით, ხოლო ტუმბოების განთავსების ტერიტორიიდან დაახლოებით - 3.7 - 4 კმ-ით. რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტს - მდ. იორს, იგი ბაღის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კმ მანძილით, ხოლო უშუალოდ რეზერვუარების განთავსების ადგილიდან დაახლოებით - 2.6 კმ-ით. უახლოესი დაცული ტერიტორია - მარიამჯვრის ნაკრძალი ტერიტორიის საკადასტრო საზღვრის უკიდურესი წერტილიდან დაშორებულია დაახლოებით 950 მეტრით, რეზერვუარების განთავსების ტერიტორიიდან დაახლოებით - 2.6 კმ-ით, ხოლო წყალაღების წერტილიდან დაახლოებით - 35 მეტრით.

საპროექტო მიწის ნაკვეთებამდე მიდის უკვე არსებული გრუნტის გზა, რომლებიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად დამატებითი გზების მოწყობა/რეკონსტრუქცია საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის.





სურ. 3.1 - ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა



სურ 3.2 - მდ. იორიდან წყალაღება (ტუმბოების განთავსების წერტილი)



სურ 3.3 - შპს საქართველოს მელიორაციის არხიდან წყალატების წერტილი

#### 4. არსებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ნექსარა“-ს 2017 წლიდან მოწყობილი აქვს კაკლის ბაღი (დაახლოებით 73 ჰა ტერიტორიაზე), რომლის მორწყვასაც ახორციელებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხით, საიდანაც წყალი გროვდება დაახლოებით 4 000 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე რეზერვუარში. სამელიორაციო არხიდან წყალაღება ხდება ერთ წერტილში, შემდეგ GPS კოორდინატებზე:

X	Y
536545.00	4605163.00

ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს დამატებით 20 ჰა ფართობის ტერიტორიაზე კაკლის ბაღის მოწყობას. ამასთან, ქვემო სამგორის არხი სექტემბერი-აპრილის თვეებში წყვეტს აქტივობას ან ხასიათდება ძალიან შეზღუდული აქტივობით. იქიდან გამომდინარე, რომ კაკალი განსაკუთრებით მომთხოვნია წყლის მიმართ და ნერგის სრულყოფილი განვითარების მიზნით მის მორწყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ტერიტორიაზე არსებული სარწყავი სისტემა და სამარაგო რეზერვუარი ვერ უზრუნველყოფენ უკვე გაშენებული და დაგეგმილი კაკლის ბაღის სათანადოდ მორწყვას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია გეგმავს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წვეთოვანი სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციას. ამასთან, ამ ეტაპზე უკვე დაწყებული აქვს წყლის სამარაგო ახალი რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები. ახალი რეზერვუარის მოწყობის დასრულების შემდეგ ბაღის მორწყვისთვის დამატებით საჭირო წყალაღება განხორციელდება მდ. იორიდან, ერთ წერტილში. მდინარიდან წყალაღების მიახლოებითი GPS კოორდინატებია:



X	Y
536640.00	4609014.00


დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების დასრულების შემდგომ ბაღის მორწყვა (კომპანიის საკუთრებაში არსებული რეზერვუარების შევსება) მოხდება საჭიროებისამებრ როგორც შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხიდან, ასევე მდინარე იორიდან, აღნიშნული დამოკიდებული იქნება არხში წყლის ინტენსივობასა და სეზონზე.

სამელიორაციო არხიდან არსებულ რეზერვუარამდე წყალი მიყვანილია თვითდინებით, რისთვისაც გამოყენებულია ლითონის 355 მმ დიამეტრის მქონე ლითონის მილი. სამელიორაციო არხიდან დაგეგმილ რეზერვუარებამდე წყალი ასევე მიყვანილი იქნება თვითდინებით, 355 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილებით.

რაც შეეხება მდინარიდან წყალაღების საკითხს: მდინარის ნაპირზე, მიწის ზედაპირზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X - 536640 Y - 4609014) განთავსდება ბეტონის ფილა (პარამეტრები - სიგრძე 3 მ, სიგანე 2 მ, სიმაღლე 0,2 მ) რომელზეც ერთმანეთის გვერდიგვერდ (ერთ სიგრძეზე) განთავსდება ორი ერთმანეთის იდენტური, მშრალი ტიპის, ტუმბო (სიმძლავრე - 135 კვტ, წარმადობა - 191.12 მ<sup>3</sup>/სთ). მდინარიდან წყლის

ამოღება მოხდება შემწოვი მილებით, რომლებიც დაერთებული იქნება ტუმბოებზე. აღნიშნული ტუმბოების ელექტროენერგიით მომარაგება მოხდება ბაღის ტერიტორიაზე უკვე არსებული 10 კვ სიმძლავრის მქონე ელექტრო გადამცემი ხაზით, ხოლო ელექტროენერგიის ავარიული ან/და გეგმური გათიშვის შემთხვევაში სამარაგო გენერატორით.





1. მილსადენის მილტუჩა დიამეტრი
2. პეპელასებრი სარქველი (საკეტი)
3. სადემონტაჟო ქურო (ფლიანეცი)
4. გასახსნელი-გამშვები სარქველი
5. კონუსისებური დავიწროვება
6. წყლის მრიცხველი
7. კონუსისებური დავიწროვება
8. ძირითადი მილსადენი
9. პეპლისებური სარქველი
10. სადემონტაჟო ქურო (ფლიანეცი)
11. რხევის საწინააღმდეგო /ანტივიბრაციული ქურო
12. კონუსისებური დაბოლოება (შევიწროვება)
13. ვერტიკალური ღერძულა წყალსაქაჩი პომპა
14. პომპის, საყრდენი რკინის ფილა
15. ტრამეჟსი ( ტენიანობის კონტროლის მექანიზმი)
16. კიბე
17. ფარი (წყლის შემშვებ-ჩამკეტი)
18. გასახსნელი-გამშვები სარქველი
19. ცივნაჭიმი ფოლადის 500 მმ მილი

სურ. 4.1 - ტუმბოების განთავსების სქემა


ტუმბოს მეშვეობით მდინარიდან ამოღებული წყალი, დაახლოებით 4.9 კმ მ სიგრძის მაგისტრალური მილით (D-315 მმ) შეგროვდება სამარაგო რეზერვუარებში. სამარაგო რეზერვუარების შევსება განხორციელდება საჭიროებისამებრ, გვალვიანი სეზონის შესაბამისად. რეზერვუარების პარამეტრები შემდეგია (რეზერვუარების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.1 და 2.2, ამასთან განცხადებას დამატებით თან ერთვის ახალი რეზერვუარის Shp ფაილი): ახალი რეზერვუარის მიახლოებითი პარამეტრები შემდეგია - სიგრძე რეზერვუარის ზედაპირზე - 311 მ, სიგრძე რეზერვუარის ძირში - 284 მ, სიგანე რეზერვუარის ზედაპირზე - 71 მ, სიგანე რეზერვუარის ძირში - 44 მ, მაქსიმალური სიღრმე - 5.5 (6.5) მ, მოცულობა - 99 531.18 მ<sup>3</sup>; ხოლო არსებული რეზერვუარის მოცულობა - 4 000 მ<sup>3</sup>; ჯამური მოცულობით დაახლოებით 103 531.18 მ<sup>3</sup>. არსანიშნავია, რომ არსებული რეზერვუარი მოწყობილია მიწათხრილით და რეზერვუარის ძირზე და გვერდებზე საიზოლაციო მიზნით ჩაფენილია 1.5 მმ-იანი გომემბრანა. ახალი რეზერვუარის მოწყობა ასევე მიმდინარეობს მიწათხრილით და საიზოლაციო მიზნით ჩაიფენება 1.5 მმ-იანი გომემბრანა, რაც უზრუნველყოფს წყლის დანაკარგების შემცირებას. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ პერიოდში ადგილი ექნება რეზერვუარების სარკის ზედაპირიდან წყლის აორთქლებას, წლის განმავლობაში შესაძლოა წყლის დანაკარგის რაოდენობამ შეადგინოს 10%. შესაბამისად წლის განმავლობაში როგორც სამელიორაციო არხიდან ისე მდინარიდან აღებული წყლის საერთო რაოდენობიდან 1 888 638 მ<sup>3</sup> - დან აორთქლებით გამოწვეული დანაკარგი იქნება დაახლოებით 188 863 მ<sup>3</sup>. შესაბამისად მდინარიდან და არხიდან ჯამურად აღებული 1 888 638 მ<sup>3</sup> წყლიდან ბალის სარწყავად გამოყენებული იქნება 1 699 775 მ<sup>3</sup> წყალი (1 888 638-10%=1 699 775).

შესაბამისად, ორივე რეზერვუარში ჯამურად წლის განმავლობაში შემომსვლელი წყლის რაოდენობა იქნება 1 888 638 მ<sup>3</sup>, ხოლო აორთქლების დანაკარგის გამო, რეზერვუარებიდან გასული წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში იქნება 1 699 775 მ<sup>3</sup>.


რეზერვუარზე მოწყობილი იქნება წყლის შემავალი და გამომავალი მილები. ასევე რეზერვუარის ავარიული დაცლისთვის გათვალისწინებულია გადამღვრელი მილსადენის მოწყობა (ფოლადის მილი D=400მმ, საანგარიშო ხარჯი - Q=240 ლ/წმ), რომელიც ავარიული შემთხვევის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს წყლის გაშვებას კაკლის ბაღების ტერიტორიაზე, ან თუ ამის შესაძლებლობა არ იქნება არსებული არხის გავლით ჩაშვებული იქნება მდ. იორში.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც მდინარიდან ისე არხიდან შემომსვლელ შემომსვლელ მილებზე დაყენებული იქნება წვრილფრაქციული ცხაური, რის გამოც რეზერვუარებში წლის განმავლობაში დიდი რაოდენობით შლამის დაგროვება არ არის მოსალოდნელი. შესაბამისად რეზერვუარების რეცხვის ხშირი საჭიროება არ იქნება. მათი დაცლა შესაძლოა დაიგეგმოს 3 წელიწადში ერთხელ. დაცლა მოხდება კაკლის ბაღებში წყლის სრულად გაშვებით. რეზერვუარი დაყოვნდება რამოდენიმე დღე მის ამოშრობამდე, შმდეგ მოხდება იქ არსებული ლამის ამოღება, რომელიც მცირე რაოდენობით იქნება მოსალოდნელი და ვინაიდან იქ ძირითადად მიწის სახით იქნება წარმოდგენილი მასა, მისი შეტანა განხორციელდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გასანოციერებლად.

რეზერვუარებიდან წყალი მიღების მეშვეობით მოხდება რეზერვუართან მოწყობილ საფილტრაციო სისტემაში, ხოლო საფილტრაციო სისტემიდან, რვა ავტომატური ქვიშის ფილტრის ბატარეის გავლის შემდეგ წყალი ორი ტუმბოს მეშვეობით (სიმძლავრე - 45 კვტ) გადავა სასუქების შემრევ სისტემაში, საიდანაც წყალი გადანაწილდება უშუალოდ ბაღის მთლიან ტერიტორიაზე მოწყობილ წვეთოვან სარწყავ სისტემაში. აღნიშნული ტუმბოებს ელექტროენერგიით მომარაგება დაგეგმილია ასევე ტერიტორიაზე არსებული 10 კვ ძაბვის მქონე ელექტროგადამცემი საზიდან, რომელიც მოეწყობა შპს „ენერგო პრო ჯორჯიასთან შთანხმებული პროექტის შესაბამისად და რომელსაც მომსახურებას უწევს შპს ენერგო პრო ჯორჯია“. სასუქების შემრევიდან ბაღისთვის წყლის მიწოდება მოხდება პოლიეთილენის მილებით.



სურ. 4.2 - საფილტრაციო სადგურის სქემა



სურ. 4.3 - სასუქების შემრევის სქემა



**ცხრილი N4.1 - დაგეგმილი მაგისტრალური მილის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატი**

	X	Y
1	536640.00	4609014.00
2	536658.00	4605753.00

ბადის ტერიტორიაზე შიდა დაქსელვა განხორციელდება პლასტმასის მასალისგან დამზადებული მილებით (d-16 მმ), წვეთოვანი სარწყავი სისტემა აღჭურვილი იქნება კომპენსირებადი საწვეთურებით ყოველ 0,5 მ-ში. თითო საწვეთურიდან წყლის დაღვრის მახასიათებელი არის 2 ლ/სთ.

დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობისთვის ასაღები წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს დაახლოებით 1 888 638 მ<sup>3</sup>-ს (უარესი სცენარის გათვალისწინებით აღებულია თეორიულად მაქსიმალური მოცემულობა). როგორც უკვე აღინიშნა, საჭირო წყლის აღება მოხდება როგორც სამელიორაციო არხიდან - 50% (944 319 მ<sup>3</sup>), ისე მდ. იორიდან - 50% (944 319 მ<sup>3</sup>). ცხრილში N3.2, დათვლილია თვეების მიხედვით რამდენ მ<sup>3</sup> წყალს საჭიროებს ბაღი სრულად მოსარწყავად, ცხრილში N3.3 - სამელიორაციო არხიდან ასაღები წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით, ხოლო ცხრილში 3.4 - მდ. იორიდან ასაღები წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით. წყლის რაოდენობა გამოთვლილია უარესი სცენარის გათვალისწინებით, იმ შემთხვევისთვის თუ ზაფხულის პერიოდი სრულად გვალვიანი გამოდგა.

**ცხრილი N4.1 - ბადის მოსარწყავად საჭირო წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით, აორთქლებით გამოწვეული დანაკარგის გათვალისწინებით, მ<sup>3</sup>**

იანვ.	თებერვ.	მარ.	აპრ.	მაის.	ივნ.	ივლ.	აგვის.	სექტ.	ოქტ.	ნოემბ.	დეკ.	სულ
0	0	212 471	212 471	212 471	212 471	212 471	212 471	212 471	212 471	0	0	1 699 775

**ცხრილი N4.2 - სამელიორაციო არხიდან ასაღები წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით, მ<sup>3</sup>**

იანვ.	თებერვ.	მარ.	აპრ.	მაის.	ივნ.	ივლ.	აგვის.	სექტ.	ოქტ.	ნოემბ.	დეკ.	სულ
0	0	0	157 386	157 386	157 386	157 386	157 386	157 386	0	0	0	944 316

**ცხრილი N4.3 - მდ. იორიდან ასაღები წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით, მ<sup>3</sup>**

იანვ.	თებერვ.	მარ.	აპრ.	მაის.	ივნ.	ივლ.	აგვის.	სექტ.	ოქტ.	ნოემბ.	დეკ.	სულ
0	0	118 040	118 040	118 040	118 040	118 040	118 040	118 040	118 040	0	0	944 320

როგორც ცხრილიდან ჩანს ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის და თებერვლის თვეებში ბაღი არ მოიწვევა და წყალაღება არ განხორციელდება, შესაბამისად მორწყვის ჯერადობა იქნება ნული. ბადის მორწყვა განხორციელდება მხოლოდ შემდეგ თვეებში: მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი. ბაღი მოსარწყავად დაყოფილი იქნება 5 სექტორად, ყოველი სექტორის მორწყვა მოხდება ყოველდღე 4 – 4 საათიანი გრაფიკის მონაცვლეობით (დღეში 20 სთ). იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულის თვეები ზოგჯერ გვალვიანია, შესაძლოა მორწყვა მეტადაც განხორციელდეს, თუმცა

წყალაღების რაოდენობა არ გადააჭარბებს იმას, რაც ზემოაღნიშნული ცხრილითა და შემდგომ ტექნიკური რეგლამენტით იქნება განსაზღვრული. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა წყლის ეს რაოდენობა დათვლილია უარესი სცენარით და შესაძლებელია, რომ მოხდეს აღნიშნულზე ნაკლები წყლის გამოყენებაც.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოცულობა შეირჩა ბალისტიკის წლის განმავლობაში საჭირო წყლის ჰიდრავლიკური დატვირთვის პირობებისთვის, შესაბამისად შერჩეული რეზერვუარის ეფექტური იქნება ზემოაღნიშნული რაოდენობის წყლის მისაღებად და სამელიორაციო სისტემაში გასაშვებად. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, იმ შემთხვევაში თუ არ იქნება გვალვიანი ამინდები, ან პირიქით ნალექიანი დღეების რაოდენობა მოიმატებს, ამ დროს ბალისტიკის საჭიროება არ იქნება და შესაბამისად რეზერვუარისთვის იმაზე ნაკლები წყლის აღება გახდება წლის განმავლობაში საჭირო ვიდრე დაგეგმილია.

#### **4.1 სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა**

შპს „ნექსარა“ - მ გარდა სამელიორაციო სისტემის რეკონსტრუქციისა და ახალი წყლის სამარაგო რეზერვუარისა, სამომავლოდ შესაძლოა საპროექტო ტერიტორიაზე მოაწყოს მსუბუქი კონსტრუქციის მქონე დამხმარე შენობა, რომელიც გამოყენებული იქნება მიღებული მოსავლის დასასაწყობებლად და გასაშრობად. ამასთან, ასეთი ტიპის შენობის მოწყობის შემთხვევაში, შენობის მიმდებარედ გამოიყოფა ტერიტორია ავტოსადგომისთვის, რომელიც განკუთვნილი იქნება 5-7 მანქანისთვის.

თუმცა, შენობასთან და ავტოსადგომთან დაკავშირებული საკითხი მხოლოდ სამომავლო გეგმას წარმოადგენს და ამ ეტაპზე საპროექტო გადაწყვეტილებები აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული არ არის. იმ შემთხვევაში თუ გადაწყდება ზემოაღნიშნული შენობის მოწყობა საპროექტო ტერიტორიაზე, კომპანია დამატებით მიმართავს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სკრინინგის ანგარიშით სადაც გათვალისწინებული იქნება პროექტის ექსპლოატაციის პირობების ცვლილების საკითხები.

#### **4.2 პროექტის ეტაპზე დაგეგმილი სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების აღწერა**

როგორც უკვე აღინიშნა, არსებული კაკლის ბაღების მოსარწყავად კომპანიას უკვე გააჩნია 4000მ<sup>3</sup>-იანი წყლის სამარაგო რეზერვუარი და სარწყავი წვეთოვანი სისტემა, რომელიც კომპანიამ მოაწყო 2017 წელს. ამ ეტაპზე უკვე დაწყებულია და დაახლოებით 1 თვეა მიმდინარეობს ახალი წყლის სამარაგო რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდება დაახლოებით 1 თვის ვადაში. მისი დასრულების შემდეგ მოხდება ყველა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მათ შორის მდინარიდან და სამელიორაციო არხიდან წყლის მისაყვანად საჭირო მილსადენების, ტუმბოების და ასევე არსებული

სარწყავი წვეთოვანი სისტემის რეკონსტრუქცია. ჯამურად წყლის შესაკავებელი ნაგებობისა და საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო იქნება დაახლოებით 4 თვე.

რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების პირველ ეტაპზე განხორციელდა ბულდოზერით მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, ვინაიდან ტერიტორიაზე მიწის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე შეადგენდა დაახლოებით 0.10 მ-ს, რეზერვუარის ზედაპირის ჯამური ფართობის გათვალისწინებით - 22 081 მ<sup>2</sup> (რეზერვუარის ზედაპირის სიგრძე - 311 მ, რეზერვუარის ზედაპირის სიგანე - 71 მ), ჯამურად მოხდა 2 081 მ<sup>3</sup> ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომელიც გადატანილ იქნა არსებული კაკლის ბაღების ტერიტორიაზე მიწის დამატებითი განოყიერების მიზნით.

$$22\ 081\ \text{მ}^2 \times 0.10\ \text{მ} = 2\ 081\ \text{მ}^3$$


ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ ექსკავატორის გამოყენებით მოხდა გრუნტის ამოღება. რეზერვუარის მოწყობის ეტაპზე ამოღებული გრუნტი, დაახლოებით 97 450.18 მ<sup>3</sup> (99 531.18 მ<sup>3</sup> (რეზერვუარების ჯამური მოცულობა) – 2 081 მ<sup>3</sup> (მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჯამური მოცულობა) = 97 450.18 მ<sup>3</sup> (ამოსაღები გრუნტის ჯამური მოცულობა)), ამ ეტაპზე განთავსებულია კომპანიის ტერიტორიაზე რეზერვუარის გარშემო უკუყრილის სახით. უკუყრილების განთავსების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.3, ამასთან განცხადებას დამატებით თან ერთვის დაგეგმილი რეზერვუარების და უკუყრილების Shp ფაილი.


რეზერვუარისთვის საჭირო ტრანშეის მოწყობის დასრულების შემდეგ მოხდება ჰიდროსაიზოლაციო ფენის მოწყობა, შემომავალი და გამავალი მილების მონტაჟი და რეზერვუარის ტერიტორიის შემოღობვა. პარალელურად დაიწყება რეზერვუარისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები, მოხდება წყალმიმღების ადგილის მომზადება, ბეტონის ფილის განთავსება და დაახლოებით 4.9 კმ მაგისტრალის გაყვანა, სადაც ჩაიყრება პოლიეთილენის 315 მმ დიამეტრის მქონე მილები და დაიფარება იმავე მიწით, რომელიც ამოღებული იქნება თხრილების მომზადებისას. მაგისტრალის თხრილის პარამეტრებია: სიგანე 60 სმ, სიღრმე 1 მ (სიგრძე, როგორც ამავე აბზაცში აღინიშნა იქნება დაახლოებით 4.9 კმ). წყალაღების წერტილიდან ახალ რეზერვუარამდე მაგისტრალური მილი ძირითადად გაყვანილი იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს შორის გამავალი, უკვე არსებული გრუნტის გზის გაყოლებაზე, რომელიც არ კვეთს კერძო საკუთრებას და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. წყალმიმღების ადგილზე განთავსდება ტუმბოები, რომელთა მართვაც მოხდება მექანიკურად. შემდგომ მოხდება საფილტრაციო სადგურის და შემრევი სადგურის მოწყობა, რის შემდგომაც მოხდება ბაღის ტერიტორიის მოწყობილი წვეთოვანი სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია.



სურ. N4.2.1 - მაგისტრალური მილსადენის სქემა (განცხადებას თან ერთვის მილსადენის Shp ფაილები)

სურ N4.2.1 - წყლის სამარაგო ახალი რეზერვუარის სქემა (მაღალი გარჩევადობით წარმოდგენილია დანართის სახით)





## 5. ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ანალოგიური ობიექტის მდებარეობის შესახებ

მიწის ნაკვეთი, რომელზედაც კომპანია ახორციელებს ახალი რეზერვუარის მოწყობას მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ და ბუნებრივია მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები იყენებენ სარწყავ სისტემებს. საპროექტო მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 850 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი (ს/კ 55.12.69.000.791), რომელიც იჯარით აქვს აღებული შპს „ელმონდ გარდენ 39“-ს. კომპანიას აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილი აქვს წყლის სამარაგო რეზერვუარი სხვადასხვა კულტურების მოსარწყავად.

საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 890 მეტრში, მდებარეობს შპს „ნუშის ბაღები“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 55.12.69.007.601, სადაც ასევე მოწყობილია წყლის სამარაგო რეზერვუარი.

მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 55.12.69.000.127 ასევე წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას, რომელიც იჯარით აქვს გადაცემული შპს „ელმონდ გარდენ“-ს და აქაც მოწყობილია წყლის სამარაგო რეზერვუარი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი შპს ნექსარას საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 1 კილომეტრზე მეტი მანძილით.

საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 200 მეტრში მდებარეობს შპს „ნუში 21“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.28.51.000.087), მასზე განთავსებული მცირე ზომის წყლის რეზერვუარით.

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 55.12.69.000.642 ასევე მოწყობილია მცირე ზომის წყლის რეზერვუარი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და წარმოადგენს ფიზიკური პირის დიმიტრი ფეტვიაშვილის საკუთრებას. რეზერვუარი შპს „ნექსარა“-ს საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 590 მეტრით.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არსებული წყლის სამარაგო რეზერვუარების შევსება ძირითადად ხდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ მაგისტრალური არხიდან.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია შემოსაზღვრულია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებით, სადაც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები (სხვადასხვა სახის კულტურების მოყვანა) და სხვა ტიპის საქმიანობის განხორციელებას (მაგალითად, რაიმე ტიპის წარმოება) საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ 1 კმ-ის რადიუსში ადგილი არ აქვს და კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით არც არის დაგეგმილი. ამასთან ობიექტის მიმდებარედ სხვადასხვა მიწის ნაკვეთებზე ფიქსირდება ცხოველთა სადგომები, რომლებიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს (მაგ: ს/კ 55.12.69.000.307).

ზემოაღნიშნული რეზერვუარების განთავსების მიწის ნაკვეთები მოცემულია სიტუაციურ რუკაზე.



სურ. 5.1 - სიტუაციური რუკა საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სხვა ობიექტების შესახებ



## 6. დასაქმება და სამუშაო გრაფიკი

რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ობიექტზე დასაქმებულია 10 ადამიანი, ხოლო სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციის ეტაპზე დამატებით დასაქმდება 5 ადამიანი (ჯამურად 15 ადამიანი), ხოლო რაც შეეხება ბაღის ოპერირებას სრულ განაკვეთზე დასაქმდება 5-6 ადამიანი. დასაქმებულები ძირითადად ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები არიან.

## 7. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიამდე მიდის არსებული გრუნტის გზები, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს სარემონტო ან მოწყობის სამუშაოებს. შესაბამისად, პროექტი მისასვლელი გზების მოწყობას ან/და არსებულის რეაბილიტაციას არ ითვალისწინებს.

## 8. ობიექტის სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება

ობიექტის წყალმომარაგება სასმელი წყლით როგორც მშენებლობის ისე ექსპლოატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია ბუტიზირებული სახით. რაც შეეხება სამეურნეო წყალს, მისი შემოტანა გათვალისწინებულია კონტეინერით.

## 9. სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხები

ობიექტის მოწყობის ეტაპზე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მობილური ბიოტუალეტი, რომლის დაცლაც მოხდება პერიოდულად მომსახურე კომპანიის მიერ. ექსპლოატაციის ეტაპზე შესაძლოა მოეწყოს საასენიზაციო ორმო შესაბამისი სველი წერტილით. საასენიზაციო ორმოს მოწყობის შემთხვევაში საასენიზაციო ორმოს დაცლა მოხდება შესაბამისი კომუნალური სამსახურის მიერ საასენიზაციო მანქანის გამოყენებით.

## 10. დანართები

## 10.1 დანართი 1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 55.12.69.179**

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 902019900721 - 11/12/2019 15:56:14

მომზადების თარიღი  
17/12/2019 16:05:39

## საკუთრების განყოფილება

შიდა საგარეულო	სექტორი ქალაქი საგარეულო	კვარტალი ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიბი: საკუთრება
55	12	69 179	ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (სახნავე) დამუსტებული ფართობი: 700000.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 55.12.00.060;

მისამართი: ქალაქი საგარეულო

## მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019546445 , თარიღი 08/07/2019 14:49:57  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/07/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება N190755503 , დამოწმების თარიღი: 28/06/2019 , ნოტარიუსი ქ. გრიგოლია

მესაკუთრები:

შპს "ნეესარა ქონება", ID ნომერი: 405307127

მესაკუთრე:

შპს "ნეესარა ქონება"

აღწერა:

## იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

## სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 902019900721 თარიღი 11/12/2019 15:56:14	უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/12/2019	მოივარე: შპს „ნეესარა“ 402040956; საგანი: მიწის ნაკვეთი დამუსტებული ფართობი: 700000.00 კვ.მ. ; ეილა: 99 წელია; იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 11/12/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,
--	--	---



მისი (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 55.12.69.180****ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**განცხადების რეგისტრაცია  
N 902019900706 - 11/12/2019 15:54:53მომზადების თარიღი  
17/12/2019 16:54:02**საკუთრების განყოფილება**

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
საგარეულო	ქალაქი საგარეულო			ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)
<b>55</b>	<b>12</b>	<b>69</b>	<b>180</b>	დამუსტგებული ფართობი: 150000.00 კვ.მ.
მისამართი: ქალაქი საგარეულო				ნაკვეთის წინა ნომერი: <b>55.12.00.061</b> ;

**მესაკუთრის განყოფილება**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882019546486** , თარიღი **08/07/2019 14:55:21**  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **12/07/2019**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება N190755503 , დამოწმების თარიღი: 28/06/2019 , ნოტარიუსი ქ. გრიგოლია

მესაკუთრები:

შპს "ნექსარა ქონება" , ID ნომერი: 405307127

მესაკუთრე:

შპს "ნექსარა ქონება"

აღწერა:

**იპოთეკა**

საგადასახადო ვიზუალიზაცია:

რეგისტრირებული არ არის

**სარგებლობა**

განცხადების რეგისტრაცია ნომერი <b>902019900706</b> თარიღი <b>11/12/2019 15:54:53</b>	მოიჯარე: შპს „ნექსარა“ 402040956; საგანი: ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დამუსტგებული ფართობი: 150000.00 კვ.მ; ვადა : 99 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი <b>17/12/2019</b>	იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 11/12/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

## ვალდებულება

ყალბად/აკრძალვად:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრში:

რეგისტრირებული არ არის

"ფინანსური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სამკერძო მიღებისას სამუშაოზე აღსახადი გადასახადი გადახდის ვალდებულება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინანსური პირი თავის ვებ-გვერდზე ავტომატურად განაცხადებს საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეკრულებულია წარმოადგენს საგადასახადო ხშირად აღდგენადი, რაც იწვევს პასუხისმგებლობის საჭიროების საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნაწილობრივი გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერბიტირებულ საარეგისტრაციო სამსახურში, ავტომატური სახელგადასახადო სააგენტოს ავტომატურ პორტალზე;
- ამონაწერში გვერდური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეგიძლია განიხილო ვებ-გვერდზე;
- კომპლექტის მიღება შესაძლებელია ავტომატური სახელგადასახადო ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

მაქს (უზნევი ქონების) საკადასტრო კოდი **N 55.12.69.038****ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**განცხადების რეგისტრაცია  
N 902019900713 - 11/12/2019 15:55:38მომზადების თარიღი  
17/12/2019 16:06:22**საკუთრების განყოფილება**

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
საგარეულო	ქალაქი საგარეულო			ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი)
<b>55</b>	<b>12</b>	<b>69</b>	<b>038</b>	დამუსტგებული ფართობი: 252329.00 კვ.მ.
მისამართი: ქალაქი საგარეულო				ნაკვეთის წინა ნომერი: <b>55.12.00.108</b> ;

**მესაკუთრის განყოფილება**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019546513 , თარიღი 08/07/2019 14:58:45  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/07/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება NN190755503 , დამოწმების თარიღი: 28/06/2019 , ნოტარიუსი ქ. გრიგოლია

მესაკუთრები:

შპს "ნექსარა ქონება" , ID ნომერი: 405307127

მესაკუთრე:

შპს "ნექსარა ქონება"

აღწერა:

**იპოთეკა**

საგადასახადო გირაფუნობა:

რეგისტრირებული არ არის

**სარგებლობა**

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 902019900713 თარიღი 11/12/2019 15:55:38

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/12/2019

მოძარე შპს „ნექსარა“ 402040956;  
 საგან: ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დამუშავებული ფართობი: 252329.00 კვ.მ.;  
 ება: 99 წელს;

ივარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 11/12/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრაციის ეროვნული სააგენტო,

## ვალებულება

ყაღად/აკრძილება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

“ფინიკრი პირის შერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური იქსტის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ხაზგაშორებულ მიღების სამუშაოებზე გადასახადო გადახდის ვალდებულება საინტერნეტო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკრი პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეესრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართლებრივ დავის, რაც იწვევს პასუხისმგებლობის საქართველოს საგადასახადო კოლეჯის XVIII თავის მიხედვით.”

- დოკუმენტის ნაწილობრივი გადასწავლა შესაძლებელია საჯარო რეგისტრაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერაციაზე საინტერნეტო საშუალებით, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ადგილობრივ პარტოანს;
- ამონაწერი გვერდიური ხარისხის აღმოჩენის შემთხვევაში დავა კავშირით: 2 405405 ან პირადად შეიძენი განიხილო ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დავა კავშირით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- იუსტიციის საინტერნეტო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

## 10.2 დანართი 2 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

### ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18201485, 30/11/2018 10:55:41

სუბიექტი	
საფირმო სახელწოდება:	შპს ნექსარა
სამართლებრივი ფორმა:	შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	402040956
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	31/10/2016
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ჯავახიშვილის ქ., № 25
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	trivendo@gmail.com
<small>დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.</small>	

#### ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

#### ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - X1965213, 01991021778, დარიო ჯეიმს მუნდჰენკე, შვეიცარია
- დირექტორი - X1685490, 01791027791, მარტინ იოჰანეს ფრიშენხტ, შვეიცარია

#### პარტნიორები



მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
X1685490, 01791027791, მარტინ იოჰანეს ფრიშენცხტ, შვეიცარია	66.66%	
X1965213, 01991021778, დარიო ჯეიმს მუნდჰენკე, შვეიცარია	33.34%	

---

#### ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

#### ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

#### საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

#### მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

#### მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგებთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვენერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

